საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 5

29.06.2022

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარეიშვილი ვახტანგ, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, ქადეიშვილი თორნიკე, ჭედია როინ, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირმა ტყემალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **თამარ მერმანიშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნინო ნაზღაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **ომიკო ეჯიბიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ურბანისტიკა“ დოქტორანტ **ლევან ალფაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ურბანისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ინგა სამხარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცება და ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნათია იაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;
8. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა“ დოქტორანტ **გვანცა ჩიქობავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის დამტკიცება;

9. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ალექსანდრე უჯმაჯურიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **ირმა ტყემალაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „დასაქმების ფორმების ტრანსფორმაცია საქართველოში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ შეფასებაში მონაწილეობა მიიღო დაცვის კომისიის ყველა 14-მა წევრმა, წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.
აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ ირმა ტყემალაძე მუშაობს თსუ-ში ასისტენტის თანამდებობაზე. მისი ხელმძღვანელი იყო ბატონი ნოდარ ხადური. არის მნიშვნელოვანი დისერტაცია.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ირმა ტყემალაძისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **თამარ**

მერმანიშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - ,,მიგრაციის როლი ევროკავშირის მოსახლეობის ფორმირებაში" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობა მიიღო დაცვის კომისიის 11-დან დამსწრე 10-მა წევრმა, წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 98 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ მერმანიშვილისთვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ნინო ნაზღაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, მაია ჯალიაშვილმა, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული მემკვიდრეობა" - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 92 ქულითით.

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ საინტერესო ნაშრომია და წარმოდგენილი დოკუმენტაცია წესრიგშია.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო ნაზღაიძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ისტორია“ დოქტორანტ **ომიკო ეჯიბიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა მიხეილ ბახტაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა, 7-ვე წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 99 ქულით.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ომიკო ეჯიბიასთვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „ურბანისტიკა“ დოქტორანტ **ლევან ალფაიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ურბანისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა გიორგი გოგსაძემ, საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „თბილისის მწვანე ინფრასტრუქტურის ეკოსისტემების სერვისების შეფასება (თბილისის საქალაქო საჯარო პარკების მაგალითზე)“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი. წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 97 ქულით.

აზრი გამოთქვა: ა. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ დისერტანტი პროფესიონალი ადამიანია, რაც მის ნაშრომიდანაც იკითხება.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო სადისერტაციო საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ, როგორც ლევან ალფაიძის დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელმა. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საბჭოს 10 წევრის მიერ.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა

(შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ლევან ალფაიძისთვის** ურბანისტიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკა“ დოქტორანტ **ინგა სამხარაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, თსუ ასოც. პროფესორმა ოლეგ ხარშილაძემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია დისერტაციის - „არაორდინარული ატმოსფერული პროცესებისა და გარემოს დაბინძურების ზოგიერთი საკითხების მოდელირება საქართველოს რთული ოროგრაფიის პირობებში“ - დაცვის პროცედურის, სამეცნიერო ღირებულების შესახებ; მან ისაუბრა დოქტორანტის გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ, ასევე რეცენზენტების დადებით რეცენზიებზე; აღნიშნა, რომ დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 11-დან დამსწრე 10-მა წევრმა, წარმოდგენილი დისერტაცია შეფასდა 95 ქულით.

აზრი გამოთქვა: ლ. გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ შესანიშნავი დისერტაციაა.

აზრი გამოთქვა: ი. ანანიაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს შრომები გამოქვეყნებული აქვს თანაავტორობით. ითვალისწინებს ფაკულტეტის დებულება დისერტაციისთვის თანაავტორობით შესრულებულ ნაშრომს?

აზრი გამოთქვა: თ. ჯობავამ აღნიშნა რომ ფიზიკაში რთული გასარკვევია დისერტანტის წვლილის გარკვევა. პრობლემაზე მუშაობს ჯგუფი, იქ განსაზღვრულია იმ კონკრეტული ადამიანის წვლილი. ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელიც იღებს პასუხისმგებლობას დოქტორანტის კვლევაზე.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ინგა სამხარაძისთვის** ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნათია იაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისური თარგმანების ტრანსლატოლოგიური ანალიზი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ინესა მერაბიშვილი - თსუ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია" დოქტორანტ **ნათია იაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ლელა ებრალიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი;

ბ) თამარ ოსიძე - ფილოლოგიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ნუგზარ რუხაძე - პედაგოგიკის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ბ) მაკა ელბაქიძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი;

გ) ნათია ამირეჯიბი - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

დ) ელისო გოდუაძე - ფილოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი;

ე) ინგა ადამია - ფილოლოგიის დოქტორი;

ვ) სალომე სანიკიძე - ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აზიის განვითარების ბანკის მთარგმენლი/თარჯიმანი;

ზ) ეთერ ჭურაძე - ფილოლოგიის დოქტორი, სამეცნიერო ჟურნალი Scientia (სიენტია) - მთარგმნელი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა" დოქტორანტ **გვანცა ჩიქობავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა:,,30-იანი წლების ამერიკის დიდი დეპრესიის ასახვა ჯონ სტაინბეკის შემოქმედებაში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი: თემურ კობახიძე – ფილოლოგიის დოქტორი, თსუ პროფესორი).

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკისმცოდნეობა" დოქტორანტ **გვანცა ჩიქობავას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:

რეცენზენტები:

ა) ირაკლი ცხვედიანი - ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ბ) ვასილ კაჭარავა - ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ინგა ჟღენტი - ფილოლოგიის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ბ) ქეთევან ანთელავა - ამერიკისმცოდნეობის დოქტორი, თსუ მოწვეული ლექტორი, უცხო ენების ცენტრის პედაგოგი;
გ) პაატა ჩხეიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
დ) ნანა გუბელაძე - ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ე) ელისო ფანცხავა - ფილოლოგიის დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ვ) ნათია ქვაჩაკიძე - ფილოლოგიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზ) მიხეილ ბარნოვი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი;
თ) ელენე მეძმარიაშვილი - ისტორიის დოქტორი, თსუ ასოც. პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ალექსანდრე უჯმაჯურიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია (თემა: „ფაგოთერაპიის ეფექტურობა და უსაფრთხოება საშარდე გზების ინფექციების მქონე პაციენტებში“; სამეცნიერო ხელმძღვანელები: თეიმურაზ ჩიგოგიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, უროლოგიის კათედრის ხელმძღვანელი; არჩილ ჩხოტუა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უროლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი).
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ალექსანდრე უჯმაჯურიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით:
რეცენზენტები:
ა) ია კუსრაძე - სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრიობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ბ) გიორგი ქოჩიაშვილი - მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) მარიკა წერეთელი - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი, საუნივერსიტეტო კლინიკის ინფექციურ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ბ) ნინო ჯანელიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, მიკრობთა ეკოლოგიის ლაბორატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
გ) ალექსანდრე ხუსკივაძე - მედიცინის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
დ) ალექსანდრე ხელაია - მედიცინის დოქტორი, ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის ექიმი-უროლოგი;
ე) დავით ნიკოლეიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის სამედიცინო დირექტორის მოადგილე, უროლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ვ) ამბროსი პერტია - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის კლინიკური დირექტორი;
ზ) დავით ქოჩიაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ კლინიკური დირექტორი.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

იური ანანიაშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი
მორის შალიკაშვილი